დადგენილება:**დ-47.47220172**
თარიღი:**17/01/2022**

დადგენილება N2

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში“ (www.matsne.gov.ge; 06/02/2017, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.114.016327). შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის თანახმად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

2.დადგენილების დანართის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ა^{1}” ქვეპუნქტი:

ა^{1}) აპარატის უფროსის მოადგილე.

3.დადგენილების დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4^{1} მუხლი:

მუხლი 4^{1}

1. ზედამხედველობს აპარატის სტრუქტურული ერთეულის, აპარატის საჯარო მოხელეთა სამუშაო გეგმების შესრულებას და სამართალებრივი საკითხებისა და დოკუმენტაციის წარმოების პროცესს.

2. აპარატის უფროსს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს ორგანიზაციულ -ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში;

3. აპარატის უფროსის დავალებით კოორდინაციას უწევს სხდომების ორგანანიზებასა და საკრებულოს წევრების შეხვედრებს მოსახლეობასთან;

4. ასრულებს საკრებულოს თანამდებობის პირთა ცალკეულ დავალებებს;

5. აპარატის უფროსის მოადგილე ანგარიშვალდებულია საკრებულოს აპარატის უფროსის წინაშე;

6. აპარატის უფროსის არყოფნის შემთხვევაში აპარატის უფროსის მოვალეობებს ასრულებს აპარატის უფროსის მოადგილე.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე